

## ძირითადი საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები

სასწავლო კურსი: ლაბორატორიული საქმის ორგანიზებისა და მართვის საკითხები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

### ზოგადი ნაწილი

1. სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების ფუნქციების განსაზღვრა, მათი აღჭურვისა და პრიორიტეტების დასახვის საკითხები,
2. ახალი კლინიკურ-ლაბორატორიული მეთოდების და ახალი სადიაგნოსტიკო აღჭურვილობის დანერგვის უნარ-ჩვევები კლინიკურ-ლაბორატორიულ პრაქტიკაში; სამეცნიერო კვლევის განხორციელების საკითხები, დოკუმენტაციასთან მუშაობა;
3. მათემატიკური და სტატისტიკური გათვლების წარმოება;
4. შიდალაბორატორიული და ლაბორატორიათშორისი გამოკვლევების ხარისხის კონტროლის ჩატარება;
5. ლაბორატორიის მუშაობის ანალიზი, მისი გაუმჯობესების გზების დასახვა;
6. ხარისხის კონტროლის და სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე სათანადო საორგანიზაციო ღონისძიებების შემუშავება და მათი შესრულება დიაგნოსტიკური პროცესის გაუმჯობესების მიზნით;
7. ლაბორატორიული დიაგნოზის კლინიკურ და პათოლოგანატომიურ დიაგნოზთან სხვაობის შემთხვევაში შეცდომის გამოვლენა და მისი აღმოფხვრა;
8. ლაბორატორიული მედიცინის საგანი, მისი მნიშვნელობა დიაგნოსტიკისათვის, ძირითადი მიმართულებები.
9. თანამედროვე ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
10. ლაბორატორიული მედიცინის კვლევების თანამედროვე დიზაინი, შესრულების მეთოდები.
11. უტილიზაციის და ბიოუსაფრთხოების წესები ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში.
12. ლაბორატორიული საქმის ძირითადი პრინციპები. პრენალიტიკის, ანალიტიკის, პოსტანალიტიკის საკითხების განხილვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
13. ლაბორატორიის შიდა და გარე ხარისხის კონტროლის სისტემა.

### კერძო ნაწილი

1. ძირითადი ბაზისური კვლევების ჩამონათვალი
2. ჰემოგრამა - სისხლის საერთო კლინიკური ანალიზი, მისი პარამეტრები, მათი ნორმები ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.
3. ჰემოგრამისთვის სისხლის ნიმუშის მომზადების წესი და მისი განსაზღვრა ჰემატოლოგიური ანალიზატორით.
4. პერიფერიული სისხლის ნაცხის პრეპარატის მომზადება მიკროსკოპიისათვის-მორფოლოგიური კვლევისთვის.
5. სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა პათოლოგიის დროს;
6. ანემიების და ლეიკემიების ეტიოპათოგენები, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.
7. შარდისა და სხვა ბიოლოგიური სითხეების საერთო კლინიკური ანალიზი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა, მიკროსკოპიულად მიღებული შედეგების კლინიკური ინტერპრეტაცია.
8. ცვლილებები სხვადასხვა პათოლოგიების დროს.

9. ზემოთ მითითებული კვლევების შემთხვევაში დანიშვნის ჩვენებები, კვლევის დინამიკა, საჭირო სახარჯი მასალა და რეაქტივები, მათი ხარჯვის გამოთვლა თვითოეული პარამეტრის შესრულებისას, კვლევის კალკულაციის პრინციპები, აპარატურის მოვლა პატრონობის ღონისძიებები და მათი დანახარჯი, კვლევების დატვირთვისა და ხარჯის კორელაცია და ადექვატურობა თვითოეული თვითოეული პარამეტრისათვის.
10. ძირითადი ბიოქიმიური პარამეტრები, შესრულების მეთოდები. მათი პრენალიტიკის, ანალიტიკისა და პოსტანალიტიკის საკითხები.
11. მიღებული შედეგების კლინიკური ინტერპრეტაცია.
12. მუშაობის პრინციპები სხვადასხვა ბიოქიმიურ ანალიზატორთან.
13. ჰემოსტაზის სისტემა: კოაგულაციური, ანტიკოაგულაციური და ფიბრინოლიზური სისტემის მაჩვენებლები, მათი დახასიათება, შესრულება, განსაზღვრა, კლინიკური ინტერპრეტაცია, კვლევების დიზინი, საზომი ერთეულები, გადამყვანი კოეფიციენტები, გამოთვლის ფორმულები. ანალიზატორის მუშაობისა და მოვლა პატრონობის საკითხები.
14. ბიოქიმიური კვლევების დანიშვნის ჩვენებები, კვლევების დინამიკა, საჭირო სახარჯი მასალა და რეაქტივები, მათი ხარჯვის გამოთვლა თვითოეული პარამეტრის შესრულებისას, კვლევის კალკულაციის პრინციპები, აპარატურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები და მათი დანახარჯი, კვლევების დატვირთვისა და ხარჯის კორელაცია და ადექვატურობა თვითოეული პარამეტრისათვის.
15. ძირითადი იმუნოლოგიური პარამეტრები. იმუნოლოგიური კვლევების სხვადასხვა მეთოდები: იმუნური კვლევების დიზინი, საზომი ერთეულები, გადამყვანი კოეფიციენტები, გამოთვლის ფორმულები. დანიშვნის ჩვენებები, კვლევების დინამიკა, საჭირო სახარჯი მასალა და რეაქტივები, მათი ხარჯვის გამოთვლა თვითოეული პარამეტრის შესრულებისას, კვლევის კალკულაციის პრინციპები, აპარატურის მოვლა პატრონობის ღონისძიებები და მათი დანახარჯი, კვლევების დატვირთვისა და ხარჯის კორელაცია და ადექვატურობა თვითოეული პარამეტრისათვის.
16. ეპიდემიოლოგიის საკითხები ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში, სამედიცინო შესყიდვების ძირითადი ასპექტები

## ტიპობრივი საგამოცდო ბილეთი

პათოგენების კლასიფიკაცია.

„სახელმწიფო სამედიცინო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნები.

პრენალიტიკის, პოსტანალიტიკის, ანალიტიკის საკითხები ლაბორატორიაში რას გულისხმობს.